2-7194/26
03-06-2026

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს

ასლი - საქართველოს პარლამენტის აპარატის

იურიდიულ დეპარტამენტს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (1-5150/26, 29.05.2026) და „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება (1-4740/26; 20.05.2026)

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა მიმდინარე წლის 3 ივნისს, კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (1-5150/26, 29.05.2026) და „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება (1-4740/26; 20.05.2026).

დოკუმენტის მიხედვით, 2025 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 7.5 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში ზრდამ 9.9%, მეორე კვარტალში 7.4%, მესამე კვარტალში 6.4%, ხოლო მეოთხე კვარტალში 6.7% შეადგინა. 2025 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 104 598.1 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 12.4 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 28 235.4 ლარს (10 296.5 აშშ დოლარი) შეადგენს.

2025 წელს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი დარგები: ინფორმაცია და კომუნიკაცია (28.7%), განათლება (24.5%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (12.9%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (12.4%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (12.3%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (11.9%), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (9.3%), ტრანსპორტი და დასაწყობება (8.9%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (8.3%), ხოლო კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (5.7%), ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (4.5%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (3.0%).

განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 3 135 186.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 3 045 888.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის 97.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.8%.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 835 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 2 738 586.2 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის 173 973.4 ათასი ლარით მეტია. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 92.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 7.9%.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ ანგარიშს და მხარს უჭერს მის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი
მოადგილე
გიორგი ჩაკვეტაძე